



„დამერთო, სამშობლო მოცოცხლე, მძინარეც ამას ვდუღუნებ!“

ტილოცაკოტ გახაფხულის მოახლოებასა და მარტის დღესასწაულებს!..

კავკასია

პროგრესული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №1-2 (59-60) იანვარი-თებერვალი 2012 წელი შპსი 1 ლარი

გიორგი ლეონიძე

ყიფჩაღის პაემანი

ერთი მეც გადავუქნიე, წვერიმც ვუწვდინე მიწასა მუხრანელი

ყორღანებიდან გნოლი აფრინდა, ყაბარდოს ველი გადაიარა, ისევე აღვსდექი! მუხრანის ბოლოს ჩახაფრებული ვსინჯავ იარაღს. ქსანზედ, არაგვზედ ისევე ჰყვავიან სოდაბუნები თავთუხებისა, შენი ტუჩებიც ისე ტკბილია, როგორც ბადაგი დადუღებისას. ხობობას ვნახე, მიწურვილიყო როცა ზაფხული რუსთაველისა, ნეტამც ბადაგი არ დაძვლია და იმ დღეს ხმალი არ ამქელეს! ტრამალ და ტრამალ გამოგადეგნე, შემოგამტყვერე გზები ტიალი, მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები, ვლევწე ტაძრები კელაპტრიანი! მაგრამ თვითონაც დაიღვწევა, დაბადებულია ვინც კი ყიფჩაყად, მუხრანადიან

შენს ქმარს შემოგზვდი, თავი შუაზე გადაამინება! მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას, ველარა გხედავ.

სისხლით ვიცლები, როგორც საძროხე ქვაბს თხევიარო, ქართლის ხეობებს

ასდით ნისლეები... მოდი! გეძახი ათას წლის მერე, დამნაცროს ელვამ შენი ტანისა; გარდის ფურცლობის ნიშანი არი და დრო ახალი პაემანისა!..

გვ. 4-5



შამილ ქორთოშიძე — ლეგენდარული მფრინავი!...

ჩვენი ბავთის სარედაქციო საბჭოს ბალანყვაბილებით ბავთ „კავკასიის“ ლაშქარბატის წოდება მიენიჭა ლეგენდარულ მფრინავს — შამილ ქორთოშიძეს „კავკასიაში“ ბამოქვეყნებული გულახდილი ინტერვიუსათვის.



თუშეთი, შამილი ჩეჩნეთის საზღვართან

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს

არ მიცნოვრია, იქნებ, ამაოდ, იქნებ მეც შეგძულ ცოტაოდენი... ვით გაიმეტე, ერის მამათ, წმინდა გიორგის თქროს თრდენი! თ, უწმინდესო, რა სიყვარულით გამომარჩიე ცოდვილთა შორის, წინ გადაამხსენ გზა დაფარული, ასე ძვირფასი და ასე შორი...

წმინდა გიორგის ნათელი ადგას ახლა ჩემს ცხინვალს, მონასტერს თირის, და არის ჭირთა ნათემენი რადგან, გაბრწყინებული ცრემლებით სტირის! მზია ხეთაგური წმინდა გიორგის თქროს თრდენის მფლობელი


დიდება უფალს!

დიდება უფალს! ყველაფრისათვის, რაც კი მარგუნა ტანჯვად, თუ ღხენად! დიდება უფალს! რომ საქართველო მომცა, მიბოძა სამშობლო ქვეყნად! რომ სიყვარულის მადლით ამავსო, ღხინით მასწავლა ჭირისა მალვა, რომ კეთილ მოდგმის ალალი შვილი უცხოთა ჩაგვრით არ ვეძებ დავლას. სტუმართმოყვარე ჩემს დედულ-მამულს, თუმც უამრავი არამი უვის, მაინც ღვთიური მახსენიქელია,

გულად-პურადი სული უღვივის, უცხო მხარეში გადახვეწილებს მით შეგახიდებთ სიტყვებს მზიანებს; ღვთისმშობლის მხარე გელით, შვილებო, მანდ რად ჰყოვნდებოთ, რად იგვიანებთ?! მადლი შეგწმინდოთ ზეციურ მამას, ღვთიური კუთხე გვარგუნა ღხენად! დიდება უფალს! რომ საქართველო მოგვცა, გვიბოძა სამშობლო ქვეყნად!

ლაგარა ჩინჩალაძე

კვირ ყუხა



ომარი იჭირაული

ეს იყო მეოცე საუკუნის 50-60 –იანი წლები...

იჭირაულის ეს ოჯახი ბარში 1956-57 წლებში ჩამოსახლდა. ომარი იჭირაულმა ოთხი კლასი ომალოში დაამთავრა და თელავის რაიონის სოფელ ფშავლის საშუალო სკოლაში გააგრძელეს სწავლა მან და მისმა ძმამ.

ომარი, როგორ შეხვდა თქვენი ოჯახი ახალ გარემოს და როგორ მივიღეთ სოფელმა?

მართალია თუშეთთან დაშორებამ ყველას გული დაგვწყვიტა, მაგრამ შევეგუეთ ახალ გარემოს. ხალხი თბილად შეგვეგება, ვიყიდეთ ბინა და ასე დავეწყეთ ახალი ცხოვრება.

ეს სოფელი და სტორის ხეობა, თუშეთთან დამაკავშირებელი ადგილია, ზემოდან მთები დაგვეყურებს. აქედან კავკასიონის მთავარი უღელტეხილის გადაღმა თუშეთი ლამის ერთი ხელის გაწვდენაზეა. მდინარე სტორი კალმახით მდიდარია და ეს ხეობა თვალწარმტაცია, ნაირგვარი ხეებით, ტყის ნობათი: წაბლით, შინდით, თხილით, სამკურნალო მცენარეებით და რით აღარ არის დამშვენებული. საქართველოში

ომარი იჭირაული და მისი მშობლები თუშეთი არიან. დედა ქეთევან წვერაიძე თუშეთის სოფელ შტროლთაშია დაბადებული. მამა – სტეფანე იჭირაული ომალოელია. იგი ამავე სოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირი იყო, დედა კი, სათნო მანდილოსანი, ომალოს საბჭოს დეპუტატი გახლდათ. მათი ორივე ვაჟი – ომარი და ტარიელი ომალოში დაიბადნენ. იმ დროისათვის, თუშეთის 50 სოფელში საკმაოდ ბევრი მოსახლეობა ცხოვრობდა, ისინი მეცხოველეობით და მებოსტნეობით ირჩენდნენ თავს.

იმ დროისათვის კახეთთან დამაკავშირებელი გზა მხოლოდ და მხოლოდ საცხენე ბილიკები იყო, რითაც სარგებლობდა იქაური მოსახლეობა.



ომარი იჭირაული ომალოში

ასეთ ლამაზ, გამორჩეულ ხეობას იშვიათად შეხვდებით, კარგი კი იქნებოდა, ნაკრძალად ქცეულიყო...

ზაფხულობით ჩვენ ყოველთვის ავდიოდით მთაში და მთელი ჩვენი ოჯახი იქაურ შრომაში ვეფლობოდით: მიწას ვამუშავებდით, კარტოფილს ვეთესვებდით, მეცხოველეობას მივღებდით, ცხვარ-ძროხას ვამრავლებდით და გვიან შემოდგომისას ვბრუნდებოდით ახალ სამოსახლოში...

სკოლის დამთავრების შემდეგ ჯარში გამიწვიეს. იმ დროსთან ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს. ბევრი ჯილდოც დავიმსახურე.

1978 წელს დასრულდა ფშაველ-ლერჯეთიდან 1936-37 წლებში დაწყებული სამანქანე გზის მშენებლობა, რამაც უფრო დამახსოვრობა მთასთან.

ომარი იჭირაულმა შრომითი საქმიანობა თბილისში 54-ე „მექსკოლონაში“ დაიწყო, ამავედ კი ფშაველ-ლერჯეთ-თუშეთის გზის

კეთილმოწყობაზე მხოლოდ მუშაობს.

უამინდობისას ხშირად იკეტება გზები, მაგრამ ომართან ერთად, საგზაოზე მომუშავე ბიჭების დაუღალავი შრომის შედეგად, გზები მუდმივად წესრიგდება.

ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია კახეთ-თუშეთის აღნიშნული გზის კეთილმოწყობა. იჭირება კლდეები და ფართოვდება გზები. მისი სივანე რვა მეტრს აღწევს. 2012 წლიდან გეგმაში გვაქვს თავიდან ბოლომდე გზის გაფართოება. რთული და კლდოვანი მონაკვეთების შედეგად, ავტომანქანებისათვის გზა უფრო მეტად იქნება მოსახერხებელი. გაიოლდება მგზავრობა, ცალხინდიანი ავტომანქანების მიმოსასვლელადაც და მითუმეტეს ბოლო ორი წელია, ტურიზმის მხრივ თუშეთში ტურისტების მოზღვაგებაა, ამბობს ომარი.

ტურიზმის მხრივ თუშეთი მსოფლიოში ათეული ქვეყნიდან მეხუთე ადგილზეა. ბარში ჩამოსული მოსახლეობა მამაპაპისეულ ადგილ-მამულს უბრუნდება... თუშეთი აშენებენ სოფლებს სასტუმროებს, იწყება თანამედროვე სტანდარტების ღონის აეროპორტის მშენებლობა, დიდი ყურადღება ექცევა ნაკრძალების მოვლა-პატრონობას.

ომარი რამდენ ხანს გიწვეთ სეზონზე ყოფნა თუშეთში?

ოთხი თვე ფშაველში ვარ, ჩემს მოსახლოში ცოლშვილთან ერთად. დანარჩენ დროს მარტო თუშეთის გზის გაწმენდით ვარ ვარ დაკავებული, გარკვეულ დროს ჩემს მშობლიურ სოფელ ომალოში საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში ვმუშაობ, მომყავს კარტოფილი და სხვადასხვა სახის ბოსტნეული. ომარის მეუღლე თანაკლასელია, ლალისყურელი ქალბატონი სიკეთითა და სათნოებით შემქული, დიდი ბიზნესი, ორი ქალ-ვაჟი ჰყავთ და შვილიშვილები.

ომარი იჭირაული სტორის ხეობის გამორჩეული ვაჟკაცია – პატიოსნებით, უანგარობით, სიკეთით, ადამიანებისადმი თანადგომითა და დიდულეონებით. სწორედ ამიტომ იმსახურებს იგი მადლობას და ბევრი თანამძიმის სიყვარულს.

იზა სტორელი

საჩუქრად მოსტონი

ლერჯეთის ზამთარ-ზაფხულ უმძიმეს პირობებში ვცხოვრობთ. არ გვაქვს სამედიცინო პუნქტი, არანაირი სამედიცინო მომსახურება. რაიონულ ხელმძღვანელობას რამდენჯერმე ვთხოვეთ, რომ ერთი ოთახი მანც გამოეყო სამედიცინო პუნქტისათვის.

ჩვენი სასმელი წყალი 40 მილიმეტრიანი დიამეტრის პლასტმასის მილებით არის გამოყვანილი, ეს „ეგრეთწოდებული სასმელი წყალი“ ზაფხულობით საშინლად დაბინძურებულია. სათავეში, რომელსაც არ აქვს დრენაჟი, ამ მილებში პირდაპირ ხევს წყალიც შედის. ამის გამო მიწაში ახლად ჩაყვანილი მილები ნაკვეთ ხის ფოთლებით, ვირთხებით, ბაყაყებით, ხელიკებით, მკვდარი თევზებით გაიჭვდა და ეს დაუცველი მილები გაივსო ამ ამაზრუნე სიბინძურით. ამის გამო სასმელი წყალით ვეღარ ვსარგებლობთ. ოთხი-ხუთი თვის წინ მილები ამოყარეს და პლასტმასის უფრო დიდი მოცულობის მილები ჩააწვეს.

ამის მიუხედავად, წყალი ისევ დაბინძურებულია. იგი კვლავ იჭვდება ზემოთ ჩამოთვლილი ნაკვეთი, ჩახურის ხეობიდან მომდინარე წყლის ნაკადი, რომელზედაც როგორც საქონელი, ასევე მანქანები და ტრაქტორები გადადიან. ამ უბედურებას ეს სიბინძურე ემატება.

მილების ხშირ გამოცვლას არ ვგობდა წყლის სათავე ათასგვარი ნაკვისაგან დაცული ყოფილიყო და ჩვენც სუფთა სასმელი წყალი გვქონოდა? ამის მიუხედავად წყალუხვი მდინარე სტორი ჩამოვიდის, ამავე დროს ირგვლივ მდინარისა თუ წყლის ბევრი შენაკადებია და ლამის ლერჯეთი წყალმა წაიღოს, სასმელი წყლის პრობლემას არა და არ დაადგა საშუალება.

ახლაც, ნაკვისაგან იმდენად გაიჭვდა, რომ სასმელად უვარგისი წყალიც აღარ მოდის, რომ სარეცხი მანც ვაგრეცხოთ. წყალს ზოგჯერ შორიდანაა, მთების გამონაჟურებიდან ვეზიდებით.

ჩვენი სხვა გასაჭირი ოთხწლიანი სკოლის პრობ-


სოფლის სატკივარი

ლემბა. მისი შენობა მთლიანად ავარიულია. ჭერი მოშალა და საკმარისია სიმძიმე დააწვეს, ჩვენს შვილებს თავზე დაემხო. იატაკიც ავარიულია, ფანჯრებს მინები არ აქვს, მას დახეული ცელოფანები აქვს აკრული.

რამდენი ხანია, რაც ზამთარმა დაისადგურა ჩვენს ხეობაში და ჩვენი შვილები უშეშობისაგან ლამის სიცივით დაგვეხოცოს, ამაზეც არავინ ზრუნავს. აქვეა პატარა სახერხი ქარხანა, სადაც შეიძლება სკოლის რემონტისათვის ხე მასალის დამზადება.

ტრანსპორტის მხრივ სოფელ ფშაველიდან, რომელსაც 7 კილომეტრი გვაშორებს, ავტობუსი ხან მოდის, ხან არა, იმის მიხედვით, თუ იქიდან მგზავრი არ ჰყავს, ჩვენიდან ზომ გვჭირდება გამგზავრება?...

კლუბის შენობა არსებობს, მაგრამ ისიც ჩამოგრებულია და საწყობად და ბოსლად გვაქვს გადაქცეული. არადა, ამ კლუბის შენობაში იყო განთავსებული: მედპუნქტი, აფთიაქი, ბიბლიოთეკა. ეს ჩვენი ერთადერთი თავშესაფარი ადგილი იყო. ახლა ისიც აღარ გვაქვს, რომ ერთმანეთს დარდი თუ სისხარული გავუზიაროთ...



სოფელ ლერჯეთთან მდინარე სტორი



სოფელ ფშაველთან მდინარე სტორი

იწყება თუშეთისკენ მიმავალი გზა. ოდესღაც უკანა ფშაველიდან წამოსული ფშაველები ვართ, დიდი ვაჟს შთამომავლობა. აქაც ბევრი გვყავდა ლექსმოკაფიავე...

ბევრი უკვე სამშენის გამოაკლდა. მაგალითად: გარსევან ბალიაშვილი, ვაჟა წულაური, მოსე არჩენაშვილი, და-ძმა ვალიკო და ანა წულაური, ბაბაღე ჩოხელიშვილი, ნათელა არჩენაშვილი, გოგია გამიაშვილი, შოთა არჩენაშვილი, ვინ აღარ... ახლა ბევრი გვყავს მოლექსმოკაფიავე: თენგიზ ჩიტაშვილი და სხვები.

გაყინულ გულებს ლექსებითა ვითბობთ!... მოგვეხმარეთ, გვიშველით, როგორმე შეგვიმსუბუქეთ მდგომარეობა: „ჩვენაც ზომ თქვენი მძანი ვართ, სისხლით, ხორციით და რჯულითა!...“

თელავის რაიონი, სოფელ ლერჯეთის მოსახლეობა



მზია ხეთაგური

ავტობიოგრაფია

ლოდინი, ისევ ლოდინი,
სასოწარკვეთის ექო...
სულს, მაინც,
ცოტა—ოდენი
ფრთების სილაღე ერგო.

თქვენ გალიმებათ

თქვენ გელიმებათ, რომ კვლავ მხიბლავს
კაცი მართალი,
აკვარიუმში რომ არ გამწვანდევ ოქროსფერ
თევზებს...

ასე ქსეტად...
მე კიდევ თქვენზე მეცინება,
მე კიდევ — თქვენზე!
თქვენი სიხარბე სობის სიყვარულს,

გულს ნუ გაიტან გარეთ!

ღრუბელზე გრძობააშლილ
თავს ჩამოიხრჩობს მთვარე...
გული დატოვე სახლში,
გულს ნუ გაიტან გარეთ!

სხვა ყველაფერი დროებითია!

თუ ბედი ერთხელ შენც გაგიღიძვებს,
შეგამსუბუქებს ფიქრებს ტვირთიანს,
გულს სიამაყით ნუ გაიღვივებ —
ყველა ღიმილი დროებითია!

თოკი

შენი პერანგი ქარში ფრიალებს,
თოკზე თავდაღმა ჰკიდია, შრება...
მკლავებგაშლილი კვლავ სატრფიალოდ
ქართან შენებით დაეძებს შეგებას.

ერთმანეთის ჰინაზე

ვინ წაგვართვა, სად არის
გაზაფხულის სინაზე?
დავიყენეთ ჩამთარი
ერთმანეთის ჰინაზე!

მიყვარხარ

მიყვარხარ, როცა ბუნება
უკიდევანოდ მაისობს,
მიყვარხარ შემოდგომაზეც,
მზეს რომ ატყვია ნაღველი,

შ ა მ ი ლ ქ ო რ თ ო შ ი ძ ე

– ბატონო შამილ, თქვენ საქართველოს საზღვარს იცავთ, როდის დაიწყეთ ფრენა და რამდენი წელია რაც ამ საქმეს ემსახურებით. ცნობილია, რომ ადრეულ წლებში საზღვრების დარღვევა ხდებოდა, ამჟამად რა მდგომარეობაა საზღვრისპირა ადგილებში, რამდენად არის დაცული, რამდენად უსაფრთხო და კომფორტული ჩვენს ქვეყანაში ფრენა?

– საქართველოს დამოუკიდებლობიდან დაწყებული, სასაზღვრო უწყების თანამშრომელი ვარ, მაშინ აქ მართლაც ბევრი დარღვევა ხდებოდა. საზღვარი სათანადოდ არ იყო დაცული. ჩვენს ქვეყანას არ გააჩნდა სასაზღვრო ავიაცია და ამდენად ვერ ხერხდებოდა საზღვრის საპაველო კონტროლი და შესაზღვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფა... და ეს ყოველივე ურთულეს პირობებში ხდებოდა.

აკი ვთქვი, ქვეყანას ავიაცია არ გააჩნდა და ოქტომბრიდან დაწყებული თითქმის ივნისამდე ჩაკეტილი იყო მთების გადასასვლელები, რადგანაც სამანქანო გზები თუ ბილიკები მთელი ზამთრის განმავლობაში თოვლისგან იკეტებოდა. შესაზღვრებისთვის სურსათ-სანოვაგეს და მათ პირად შემადგენლობას ნაკლები რაოდენობით სტოვებდნენ, რაც ხელის შეშლელი ხდებოდა საზღვრის სათანადო დაცვისათვის.

1999 წელს შეიქმნა სასაზღვრო ავიაცია. ამ უწყებას ბატონი ვალერი ჩხეიძე ხელმძღვანელობდა, როცა უკრაინაში დავამთავრე კრემენჩუგის საავიაციო სასწავლებელი. ამ დროს თბილისში იყო შეველმფრენების ცალკეული ესკადრილია და სხვადასხვა თან-

შამილ ქორთოშიმ თუშეთის სოფელ დიკლოში დაიბადა. დაამთავრა ქვემო ალვანის საშუალო სკოლა. ორი წელი იმსახურა სამხედრო საავიაციო სამსახურში. შემდეგ უკრაინის კრემენჩუგის საავიაციო სასწავლებელში ჩაირიცხა. მისი დამთავრების შემდეგ კი, სამშობლოს დაუბრუნდა და დღემდე ამ პროფესიას ემსახურება.



თამალო — შამილი და შესაზღვრეები როტაციის დროს

– რა თქმა უნდა რთული პროფესიაა და თან გააჩნია ვისთვის.

ეს „ხელობა“ მაღალსულიერების მომგვრელია, ჩემთვის კი, რთული ნამდვილად არ არის. პირიქით მსიამოვნებს, განსაკუთრებით — დაბრკოლებები, როცა ხიფათში ჩავარდნილ ადამიანებს ვხვდები და ვშეველი...

მფრინავობა შესაბამისად კარგ განათლებას, პასუხისმგებლობას და გამართლებულ რისკსაც მოითხოვს. არის ბევრჯერ ისეთი სიტუაციები, რომ ასეთ რისკს ღვთისწყალობა

მხოლოდ პატარა ხბოს ფეხებიდან მოჩანდა...

– მართალია, რომ მფრინავები ყოველი აფრენის დროს განსაკუთრებულ სიამოვნებას გრძობენ და ყოველთვის ცაში ყოფნა უნატრებიათ? ადრენალინის გარდა, რას აძლევს ადამიანს მფრინავობა?

– ადრენალინის გამოყოფის გარდა, მფრინავობა ადამიანს ასწავლის ერთგულებას, ურთიერთგატანას როგორც ადამიანის, ასევე საქმის მიმართ, დიდ შრომას ძალების ბოლომდე გამოყენებისა და მობილიზაციის ხარჯზე. ისინი ხომ ნემსის ყუნწში სულ ერთად ძვრებიან, ერთიანი, გუნდური მუშაობის გარეშე შეუძლებელია საქმის კეთება.

ჩემი დევიზია: „სამსახურში მხოლოდ ისეთი ადამიანები მივიღო, რომელთაც ერთგულების, ვაჟაკობის და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ღირსებები გააჩნიათ“. დიდ პატარას, ვინც იცის გარჩევა, მანდილოსნების პატივისცემა, არანაირი უხეში სიტყვების ხმარება, ჭირსა და ღვინის თითქმის გამოუკლებელი ყველას გვერდში ყოფნა, თქვენ წარმოიდგინეთ და... ბევრ ახალმოსულ თანამშრომელს, ეს ყოველივე ძალიან უკვირდა, თან ვერც წარმოედგინათ და თანაც სიამოვნებით მიესალმებოდნენ.

– ახალგაზრდობა თუ იჩენს ინტერესს ავიაციისადმი, გყავთ ახალბედები? რა თვისებები უნდა ჰქონდეს ახალგაზრდას, ვისაც მფრინავობა აქვს გააწყვეტილი?

– დაახ, ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენს ავიაციისადმი, მათ ყველაფერს ვასწავლით ნაბიჯ-ნაბიჯ და ეტაპობრივად. კარგი მფრინავის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა კარგი ცოდნა, გამჭრიახი გონება, გამბედაობა და რისკიანობაც. ჩემი შვილი და ძმისშვილიც

უზომოდ შეეყვარებულნი არიან ავიაციაზე და კიდევაც დაუფრენენ, რაც ძალიან მასარებს: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“... ახალბედებს ვურჩევ, რომ კარგი სწავლით, დაუღალავი შრომით და პატიოსნებით, ყველაფერს მიაღწევ. ჩემი დევიზია: „მართალ კაცზე ძლიერი, არაფერია ქვეყანაზე“...

– ქართველ მფრინავებზე ლეგენდები დადის, მართლა მაგარი მფრინავები გყავს? რას იტყვით თქვენი კოლეგების და მეგობარი შესაზღვრების შესახებ?

– ქართველებს ხომ ყველაფერში სასწავლების მოხდენა შეგვიძლია. ასევე ავიაციამაც. რა თქმა უნდა ბევრი გყავს ლეგენდარული მფრინავი, ბევრიც ცხინვალის რეგიონის, ანუ შიდა ქართლის, და აფხაზეთის ომში ისე დაიღუპა, რომ საფლავიც კი არ გააჩნია, ზოგსაც გვარის გამგრძელებელიც არ დარჩა. რაც შეეხება მთებში მყოფი ხალხისთვის კი, ვერტმფრენი სიცოცხლის წყაროა ავადმყოფების გადმოსაყვანად, შესაზღვრე ჯარის პროდუქტებით და მედიკამენტებით მოსამარაგებლად, ჯარის ნაწილების შეცვლით და უამრავი სხვა.

– ვიცი, რომ მთაში ყოველთვის განსაკუთრებული მოლოდინით გელიან. რა არის თქვენთვის მთა. ასევე ძალიან ვთხოვთ დეტალურად მოგვითხროთ თქვენი საქმიანობის პერიოდის დროინდელ მოვლენებზე და შემთხვევებზე.

ზშირად გიწვევდათ მთაში ფრენა, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანების შევლა. მთა ხომ საგნა ხიფათებით. მანტრერესებს ვის დაასახელებდით ვაჟაკებად, სიმამაცითა თუ მაღალი სულიერებით გამოჩნეულს: თუშეთში, ფშა-



პრეზიდენტი შამილის ავიაციის ბრწყინვალეობას და ღირსების ორდენებით

ამდებობებზე დაიწყო მუშაობა.

ამ დროიდან სათავეში ჩავუდექი სასაზღვრო ავიაციას. (ჩემი აზრით „ვეფხისტყაოსნისნვლა“ მისი სამსახურებრივი ნუსხა. ი.ჯ.) 2008 წლის დასასრულამდე ვმუშაობდი სპეცდანიშნულების ავიაციის სამმართველოს უფროსად. მთავრობამ 2008 წელს სასაზღვრო ავიაცია გაერთიანა თავდაცვის ავიაციასთან..

ახლა კი ჩვენს ქვეყანაში მფრინავი და ტექნიკური საინჟინრო შემადგენლობა დაკომპლექტებულია ძლიერი სპეციალისტებით, ტექნიკური მომსახურება უმაღლეს დონეზეა,

ბაც ახლავს და ყველაფერი კარგად მთავრდება, განსაკუთრებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარ თავს და სიცოცხლეს სწირავ სხვა ადამიანების საკეთილდღეოდ. სამაგიეროდ, ბოლოს მათზე მეტად გიხარია იმიტომ, რომ ეს შენ შეძელი, გამოკლა ჩააბარე შენი თავის და ღვთის წინაშე. სხვასაც ასიამოვნე. აი, ამით განსხვავდება ჩემი პროფესია სხვა პროფესიებისაგან.

ხუთი წლისა ვიყავი, როცა ცხვარში წავედი. სკოლის მერე ჯარში და ასე შემდეგ... შეიძლება ისევე ცხვარს დაუბრუნდე... ჩემი ბავშვობის განვლილი წლები ისევე იქით მეწევა, იმ წმინდა მთებში... ასეა ჩვენი ცხოვრება, პროფესია ყველანაირია...

მფრინავისათვის ყოველი აფრენა პირველის ტოლფასია. გრძობებიც სასიამოვნოა და შეუღარებელი სხვებთან, მათ მიწაზე ყოფნასთან შედარებით ცაში ყოფნა სურთ მუდამ, ბევრჯერ შეგხვედრილვარ ისეთ

სამუშაოს, თუნდაც რაჭაში მომხდარი მიწისძვრის დროს, ოთხი დღე-ღამე, უკმელ-უსმელმა ვიმუშავე. ვერტმფრენიდან რომ ჩამოვედი, მუხლები მეკვეთებოდა, სიარული გამიჭირდა, მაგრამ გული მინც ვერტმფრენისკენ მიწევდა. უკან დაბრუნება მინდოდა. ძალიან რთული სამუშაო იყო და ძნელი სანახავიც: მოწყვეტილმა მთამ მივლი სოფელი დამარხა — კაციანქალაიანად, ყველა სულდგმული. ერთგან ზემოთ



ვალერი ჩხეიძე შამილს მედალს გადასცემს

ხეესურეთში, ხეში, მთიულეთ-გუდამაყარში, სვანეთში, აჭარის მთიანეთში, კოდორის ანუ დაღის ხეობაში?

– მე მთის შვილი ვარ, იქ დავიბადე და გავიზარდე. გული ყოველთვის მთისკენ მიმიწევს. ვიცი, რომ მე იქ სულ მელიან და მეც მიხარია, რომ შემიძლია მათი ხელშეწყობა და გახარება. იყო დრო, როდესაც რამდენიმე წელიწადი (სანამ ახალი პუნქტები შენდებოდა მათთვის) ჯარისკაცები ჩემს სახლში ცხოვრობდნენ. მოვესხენებოთ, ზამთარი რა ნაადრევად დგება მთაში და მე ამით რაღაც წე-



ვალერი ჩხეიძე და შამილ ქორთოშიძე

სათანადოდ გამართულია ტექნიკაც. ამდენად ფრენა უსაფრთხოა.

– ალბათ, რთულია მფრინავის პროფესია და მეტად საპასუხისმგებლოც. რითი განსხვავდება სხვა პროფესიებისაგან და რა არის განსხვავებული ამ სფეროში?



ანოსტის ანუ ახას ხეობა, ტერდა — სასაზღვრო პოსტი

ღ ე გ ე ნ დ ა რ უ ლ ი მ ფ რ ი ნ ა ვ ი ! . . .



შამილი ფრენის დროს

ლილი მიმიძღვის იმ ბიჭების წინაშე, რომლებიც ზამთარ-ზაფხულს გმირულად იცავდნენ ჩვენს საზღვრებს, ასე რომ, მე მთაში დღესაც ყველასთვის სასურველი სტუმარიც ვარ და მასპინძელიც. ხალხიც შევუბუღია რთულ პირობებს. ჩემთვის ყველა ის ადამიანი, ვინც კი მთის მუღმევი მაცხოვრებელია, გმირია. ამას მაშინ მიხვდებით, როდესაც მათ გვერდით, თუნდაც ერთ ან ორ დღეს გაატარებთ.

მთა ხომ ისეთი თვალწარმტაცია, რომ ადამიანი ბევრი ფუფუნების ნივთს არ მოითხოვს, მისი სილამაზეც გაკმაყოფილებს, იქ არსებული, რასაც ვერსად ვერ შეხვდებით, ისე კარგად ვერ შეიგრძნობ, როგორც მთაში. ეს მამაცი ხალხიც ამით საზრდოობს, ჩვენი ქვეყნის მთიან რეგიონებში ჯერ კიდევ არიან შემორჩენილი ასეთი გმირები. მე ყველა კუთხეში მყავს ახლობელი ადამიანები, ისინი ჩემი ძმები არიან, როგორც თუშეთში, ასევე ხევსურეთში, გუდამაყარში, ხევში, სტეფანწმინდაში და ა. შ. ისინი, როგორც საქმეში სიძლიერით, ასევე კარგი კაცობით გამოირჩევიან. ჩვენ ერთმანეთთან ახლო კავშირით საერთო საქმეს პირნათლად ვასრულებთ. ასევე არ ვიფიქრებთ მთის ადამიანებს, ვიცავთ და ბევრ ახალგაზრდასაც ვასწავლით. აი, თუნდაც ჩამოაბრძანეს ღვთისმშობლის სამხელა ზატი, მე მომიწია რამდენჯერმე მისი გადმობრძანება ჩვენი მთების

სვადასხვა მხარეს.

ჩემი სოფლის – დიკლოს შემდგომ, არის კიდევ რამდენიმე სასოფლარი, მიტოვებული ადგილები, მე კი ღმერთს გულით ვევედრებოდი: ღმერთო, აღსდევ და ისეთი ხალხმრავალი გახადე ეს ადგილები,



შამილის მეუღლე – ნანა ბოლობიძე მესტიაში

როგორც მე მასხოვს ბავშვობაში მეთქი. მიხდა, რომ სიცოცხლე იქაც ჩქეფდეს. ძალიან მიხარია, რომ ახლახანს მხვდა წილად, ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი საქართველოს პატრიარქის, ილია II-ის აბრძანება მთაში, თუშეთში, ხევსურეთში. ეს ხომ კავკასიონის მთის ისტორიაში, პირველად მოხდა. თუშებმა, მე მგონია კარგი მასპინძლობა შეგვქელით. ხოლო ჩემთვის უფრო გასახარი იყო ის, რომ ჩემს შვილს – საბას, იგივე ფუნქციის შესრულება რომ მოუწია ცაგერი – სტეფანწმინდის მიმართულებით. იქაც ჩვენი პატრიარქი გადააბრძანა. ეს რა თქმა უნდა, უფურადღებოდ არ დარჩენილა ჩვენი უნეტარესისათვის და მან საბა დალოცა, აკურთხა და გულში ჩაიკრა. ხომ წარმოგიდგენიათ, ამაზე დიდი ბედნიერება რაღა უნდა იყო ჩემთვის. მე ძალიან მახარებს, რომ მთაში მცხოვრები მამაცი ხალხის შვილებიც, ასევე გმირებად მოიხსენიებიან და

მათი სახით რომ ძლიერი მომავალი ჰყავს ჩვენს ქვეყანას. ბევრი მათგანი ჩემი შვილების მეგობრები არიან და ძალიან მსიამოვნებს, რომ ისინი გააგრძელებენ ჩვენს დაწვებულ გზას... მათი ფეხებიც ხომ მთაშია.

– თუ ყოფილხართ აფხაზეთის მთიანეთში, კერძოდ, დალის ანუ კოდორის ხეობაში, იქაურ მამაც სვანებზე რას გვეტყობით?

– აფხაზეთის მთიანეთისა რა მოგახსენოთ. რიგინად ყოფნა არ დავცვალა... ომიანობის დროს კი, ჩემთვის იქ მებრძოლი ყველა ადამიანი გმირია. ძალიან ბევრი მეგობარი, ძმანაფიცი მყავს სვანეთში, კოდორის ხეობაში. დღემდეც კი ერთად ვმუშაობთ, გვიყვარს და ვაფასებთ ერთმანეთს, მე კი, პირადად არ მოვაწყენ ხოლმე ანგვლოტებით სვანებზე. ვგრძნობ რომ იმდენად ვუყვარვარ, ყველა სვანს, რომ არც კი მიბრახდებიან...

მე ბედნიერი კაცი ვარ იმით, რომ საქართველოს ყველა კუთხეში მყავს ასეთი ძმები. ისინი ერთმანეთისაგან ხასიათით განსხვავებულებიც არიან, მაგრამ მრწამსი და ღვივნი ყველას ერთი გვაქვს. მთელი ჩემი ცხოვრება სხვის სიყვარულში, მათ საკეთილდღეოდ გავატარე. მე რომ შემძლოს ცხოვრების თავიდან დაწყება, ნამდვილად იგივე გზას ავირჩევდი თავისი დარდით, სიხარულით და სირთულეებით, იმ უძილო ღამეებითა და მშვიდმწყურვალე დღეებით. მასში ხომ ყველაფერი უნდა ჩაღო კაცმა, თუ კაცი ხარ!

– თქვენი საქმიანობის გარდა, კიდევ რა გიტაცებთ?

– მე რომ მფრინავი არ ვყოფილიყავი, ალბათ ვიქნებოდი ერთ-ერთი რიგითი მცხოვრები მთისა, ჩემი შშობლოური კუთხის გულანთებული მესაზღვრე...

... ახლა კი თქვენი ლამაზი ოჯახის შესახებ თუ შეიძლება ორიოდ სიტყვით...

ჩემი მეუღლე – ნანა ბოლობიძე ავიაკომპანია „თუშეთში“ მუშაობს. სისრულეში მოჰყავს თაბახ-ფურცელზე დატანილი მფრინავების მიერ შესრულებული დავალება, საავიაციო – საფინანსო სტატისტიკურ თვალაღწერას აწარმოებს. ჩემი შვილი – საბა 18 წლისაა. ის ნაადრევი ასაკიდან ეზიარა ავიაციას და რა თქმა უნდა უკვე ჩამოყალიბებული მფრინავია. მიხარია რომ ფრენის დროს მასაც ჩემნაირი პრინციპები – მანევრირებები გააჩნია. ალბათ, აქ გენებმა ძლიერ იმოქმედეს. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ერთი წუთითაც არ მოშორებია გვერდიდან, მას არც კი ეძინა. ცხოვრობდა ჩემთან ერთად ჯარის ცხოვრებით. ხოლო ქალიშვილი – სალომე, ამ დროს, დიკლოში იყო, ვითომ დასასვენებლად. იგი მობილური ტელეფონით მაწვდიდა ზუსტ ინფორმაციას, თუ რამდენი თვითმფრინავი შემოფრინდებოდა შუალაბით, 4 საათის შემდეგ, ჩვენს ტერიტორიაზე...

სალომე 15 წლისაა, მისი ოცნებაც ავიაციაა. მე მის მიზანს ხელს არ შეუვლი, ავიაციას ხომ მაინც ყველასაგან განსხვავებული ჯანმრთელობა, სწავლა და რისიკი სჭირდება, რაც ჩემის აზრით ქალისთვის

ზედმეტად დამტვირთველია. ვნახით, ჯერ კიდევ დრო აქვს... თუმცა, სხვა პროფესიაც აქვს არჩეული, მაგრამ ისიც ავიაციას უკავშირდება. მოკლედ ჩვენს ოჯახში, როგორც ეკლესიისკენ, ასევე

მხოლოდ სამი პროფესია აქვთ: ან მფრინავია, ან მღვდელი, ან მწვეწმი... „შამილს ღმერთი ალივილებს ცაში“ – ეს გახლავთ არამზ წიკლაურის ცოლის – ანოს გამონათქვამი. რაოდენ დიდი ბედნიერებაა, ყვე-



შამილი დიკლოში

ავიაციისკენ მიდის ყველა გზა... – ვიცი, რომ თქვენი უმცროსი ძმაც – ომარი თქვენს კვალს გაჰყავს, ხოლო უფროსი ძმასთან – ზაურთან ერთად ამჟამადც ასრულებთ ფრენებს... რაიმეს ხომ არ იტყვით ომარის შესახებ?

– აფხაზეთის ომის დაწყებამდე პირველივე გაფრენის შემდგომ გაქრა ვერტმფრენი ეკიპაჟთან (ზებური ბოლქვაძესთან, ომარ ქორთოშვიტესთან, ვიტალი არეშიტესთან) და მგზავრებთან ერთად. მიუხედავად დიდი მცდელობისა, მათი ბუნის შედეგი დღემდე უცნობია.

მას დღემდე ყველა სულმოუთქმელად ველო... – ჩვენო ლეგენდარული მფრინავო, რას უსურვებდით ჩვენს დედა საქართველოს?

– ჩემს სამშობლოს ვუსურვებ ღვთის კურთხევას, ბევრი და ძლიერი შვილების სიმრავლეს, გენის სიძლიერეს, მრავალი კაი ყმის აღზრდას, რაც ყველა ჩვენთაგანის ვალია. ღმერთს, ლოცვის დროს, ჩემთვის არასოდეს არაფერს ვთხოვ... მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ქვეყნის გამოთინაობას.

დიდება შენ უფალო!

ამოუწურავია შამილ ქორთოშვიტის კეთილშობილები და მფრინავობის სიღირსე. ბარაქა მის ვაჟკაცობას... ხალხი იმდენად მოხიბლული იყო მისი საქმიანობით, რომ ყველა ბავშვს სურდა გამოსულიყო შამილი: „დედი, რა უნდა ვისწავლო, რომ „შამილ“ გამოვიდეო. – ეი, „მფრინავო“. ამდენი სირთულეების, ომების გადატანის ფონზე, მას „რკინის შამილ“ შეარქვეს. გადაიღეს ფილმი „აილოტი“, რომელმაც ორი წელი ზედიზედ პირველი ადგილი აიღო „ნეპორის“ კინოფესტივალზე. ეს მოვლენა ნაჩვენებია იყო როგორც ტელევიზიით, ასევე რუსთაველის კინოთეატრში. თუმცა, – იციან ხოლმე თქმა,

ლას უყვარდე და ადამიანებისთვის მისაბაძი გახდე... კაცობაზე მეტი ხომ არც სამსახურია, არც წოდება, არც ვიღვლო... სამართლიანი, გულმზურვალე, სულთერ სიმაღლეებში მონაგარდია, მოძმეთა ქომაგი, ჩვენი შამილი. მას პირადად საქმე გადაუღია სხვათა კეთილდღეობისათვის, რამდენჯერ



შამილის ვაჟი – საბა

ვეტმფრენში უადგილობის გამო, დედა და ცოლ-შვილი დაუტოვებია და სხვა მგზავრი წაუყვანია. მას საკუთარ თავზე ხომ, სიტყვას ვერ ათქმევინებ. მუდამ სხვების ქებაზე ლაპარაკობს, უხარია სხვისი წარმატებები და კეთილი საქმეები. მის ვაჟკაცობაზე კი, მხოლოდ სხვები ჰყვებიან...

და... რაოდენ სამაყობა და ბედნიერება, უყვარდე ყველას და ადამიანებისათვის მისაბაძი გახდე... მართლაც, კაიკაცობაზე მეტი კი, არც სამსახურია, არც წოდება, და არც ვიღვლო... ეს ხომ ბატონი შამილის სიტყვებია...



შამილის ქალიშვილი სალომე

მშვიდობისა და სიყვარულის მსოფლიო

მოთხოვნა

კლიმატის მართვა მთავარი გამოწვევაა. 19710 ფუტის სიმაღლისა და აფრიკაში ამ სიმაღლე მთა მეორე არ არის, ამბობენ. მის დასავლეთ მწვერვალს „ნგაი ნგაის“ ანუ ღვთის სახლს უწოდებენ. ზედ მწვერვალთან ლეოპარდის გაყინული და გამოფიტული გვაში ვლიან. კაცმა არ იცის რამ აიყვანა ამ სიმაღლეზე.

მრეხსტ კვირვანი

შორს მალდებიან დათოვლილი გლეხი ქედები... იკეცებიან წიწვამური, ჯვარი, არმაზი... კავკასიონზე წითლდებიან დათოვლილი ჰორიზონტები.

პარიზი მღერის, მღერის მსოფლიო, ჟურნალისტურად გულმოდგინე ჰემინგუეიცი ღრუბლივით უბრუნდება „კლიმატის მართვა“, აქ ქარაფებზე ვიხივებთ ღვანან გახეხილ ქვიან რქებით. მჭრელია გზები, გზები, რომლებიც მთებზე გადადის. ქარიშხალი აცხრება ამ გზებს და მზე ბროლივით ანათებს წვერებს.

მტკიცეულია ხოლმე მსოფლიო...

დანახული მაქვს კაცის მოწყვეტა, კაცის დაცემა და დანახული მაქვს. გამოშლილია მარტოკაცების მრისხანე ჯარი. და თუ გინახავთ „კარაბინი“ დამზადებული ტყვიამფრქვევის გრძელი ლულიდან. „დრამა“ რომელიც მთებში მიიწევს.

... შამილის გულზე აღის ეს ქსელი, „ტრანსკავკასიის“, გინდაც

რკინიგზის იდეის ბოლოს... და ისევ შოლტი; მტკიცეულია ხოლმე მსოფლიო, ეპოქის, ბოლოს, როცა სწორდება მახრჩობელას უმძიმესი ნელი იერი...

მომეგება ვაჟს ჩარგალი, ის შუაშია ნაკრძალივით გამოკეტილი.

დაკრევილ კბილებს მუცლისას ვხედავ ახლოდან. სისხლიანი ხროტინი ისმის და ბაგა-ბუგი გაუღით ქედებს. ნარკოტიკით გაბრუნებული „ექსტაზით“ სტყვდება რითმული და მერე მჭახე სიკვდილია კლდეებიდან ჩამოსვლადი წრაბიანად და ფეხებზე ეკიდება ვეფხვისტორებას თვითონ სიკვდილი. არის ტკივილის ერთი სახე, რომლისაც მე მშურს, მაგ ტკივილზე უნდა ახვიდე, მაღლიდან უნდა დაინარცხო ან შუა გასკდე, უნდა შეჯდე თოფის ღულაზე, „სნაიპერის“ იმ ჯვარში ჩაჯდე, ძალით უნდა ჩაეტერო, შეხვიდე შიგნით, როგორც გაყინულ შამიანში იმედის ტყვია, მერე უნდა გაინაბო ცნობისმოყვარედ. ვითომ არ იცი,

რომ ერთ დასტვენას შეეწირები, უსტვენ სამყაროს ყაჩაღივით გვიან, ჩეჩენო, ტანკებს რას უსტვენ, რა გაუძლებს მოყინულზე აძენ კოლონას, კვამლი გაუღის დაჯავშნულ ტრანსპორტს. გალურსულია აღმოსავლეთი. ბარდნის ბუდერმესს, ბარდნის არქუნს, ნათდება გროზნო, მტკიცეულია ხოლმე მსოფლიო...

უგემოვნებოდ მსუყე ნაზრამი კი მიდის ახლა გაცვლა-გამოცვლა, ვაჭრობა მიდის ფერად-ფერადი, არის ოქროც, არის ყაყაჩოც. ჩაიც შედის „კონტრაბანდით“ საქართველოდან. მოპარული მანქანებიც შედიოდა ადრე აქედან, ზეინაბმა შეიტანა ავტომატები, ორი ჩემოდნით, თერთმეტი ცალი, ერთი ცალი თავისთვის უნდა, თერთმეტი კაცი ელოდება საზღვრის პირას, ბეტონის ხიდან, ვაგონებში გაფანტულები „ჩეჩენის“ ხარშავდნენ, ეშვადებოდნენ, მიდიოდნენ მეთექვსმეტე საუკუნეში. „ობშჩეუტიის“ ფანჯრებშია გამოკრული ლტოლვილების დახეული „აგანიოკების“ ფერადი ყდები, სურათები ლენინის და ციმბირის, ბამის, ბაქოს პორტის, არის ბათუმის ერთი პალმაც, გალურსულია აღმოსავლეთი... სასტუმროში შუადღეზე ისმიალასთან ნებევრობენ რუსის ქალები. კომპეტის თავზე ბრძოლებსაგან

გამურულია კრიალა ზეცა. ჩინეთის კედელს ჰგვანან სოფლები ერთმანეთზე წვრილი გზებით გადაბმულები. რადიო ყვირის მშვიდად რამაზანს, მთელი ქსელი ალბუღია, თითქოს მეკობრეთ დაუპყრიათ ვარსკვლავიანი ხვერდის ზეცა. ტაჯიკეთია, ირანია, თუ სტამბულია, იქ, უნეტარეს იმედით, სადღაც შორი უმდიდრესი არაბეთია... „მერსედესებით“ სავსეა ქუჩა, „ჯიპ-ჩეიროკებიც“ ღვანან ნებაზე, სავსეა მზერა შურისძიებით, ოქროს კბილებით, ვერცხლის კბილებით.

რადაც უნდა იცოდეს კაცმა. რადაცის სწავლა არ შეიძლება. რადაც უთქმელი უნდა დატოვო, როგორც სიკვდილის ეპიტაფია.

რადაც თვითონვე უნდა თქვას ხალხმა, ღალატის იქით, ღალატის გარდა, ერთხელ, სულ ერთხელ...

სწრაფად იღევა სიყვარული, სიმღერასავით გამოსროლილი, ველური ვნებით ალესილი უგონო ძალა, გამოქნეული ქამანდივით ემუქრება უცებ მსოფლიოს. ვინ გაპატიებს მაგ გაელვებას, თუ კი უხდება ჩოხას და ხანჯალს, საკუთარ ჭერზე ამაღლებას ვინ გაპატიებს?!

მტკიცეულია ხოლმე მსოფლიო...

ცეკვავენ წრეში და ბოლოჯერ



კვიან მგლები, დალუპვისას კვიან მგლები, მღერის პარიზი, მღერის ვენა, მღერის ლონდონი.

განახულია ზევით არსოტი, იქით შატლი; გამოტოვებულ ომზე დარდობს ახლა გიგია, არაგველებმა გაიარეს თავისი რიგით, რიგი შეწირვის, სპეტაკი რიგი, გადარჩენის საფეხურებზე. რიგია ხოლმე კლიმატის მართვის მთავარი გამოწვევა გაყინული ლეოპარდისა...

მეც იმედი მაქვს მომდევნო რიგის. ეს სიცილი უმანკო ჩვილის იქიდან მოდის, იმ სისხლში ჭვივის; განახულია დასავლეთი, აღმოსავლეთი... მტკიცეულია ხოლმე მსოფლიო...

კახა დვდარიანი

კაქაქსიური - კაქაქსიური სკაქსი

საქართველოს უკიდურეს სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში-კავკასიის ყველაზე კონტინენტურ მხარეში გადაჭიმულია უზარმაზარი ლანდშაფტი, რომელსაც არიდულ და ნახევრად არიდულ ზონასაც უწოდებენ. აღნიშნული ლანდშაფტების ფორმირება კავკასიაში 10 მილიონი წლის წინ დაიწყო, რაც ცნობილი ქსეროფიტოზაციის პროცესით იყო გამოწვეული. ტენიანი თუ ნახევრადტენიანი დაბურული ტყეები მშრალმა ტყეებმა და სტეპებმა შეცვალეს, ამას აქტიური გეოლოგიური და კლიმატური პროცესებიც თან დაერთო, რამაც საბოლოო ჯამში მკვეთრი კონტინენტალური ტიპის მშრალი ტყეები და სტეპები, ზოგ შემთხვევაში ნახევრადუდაბნოები და უდაბნოებიც კი ჩამოაყალიბა.



ვაშლოვანის დაცული ტერიტორია ზღვის დონიდან 150-750მ სიმაღლეზე მდებარეობს. მისი რელიეფი რთულია და სადაც მორიგეობენ მშრალი კანონისებური ხეები და ბრტყელი პლატოები. ვინაიდან ქანების გამოფიტვის ხარისხი მაღალია, აქ ხშირად საოცარი ფორმის კლდეებსა და ლოდებს შეხვდებით. ბევრია ბუნებრივი ციტადელი, ქვის ტყე, ალესილები, „პირამიდები“, ნაშალები და მრავალფეროვანი ბუნებრივი სკულპტურები. „პირველი შობაბეჭდილება, ყოველთვის ჰიპერტროფული, უფრო მეტიც ზოგჯერ არამიწიერიცაა, ზოგიერთი აქაურობას კოვბოურ ფილმებს, ესოდენ ცნობილ ველურ კორდილიერებს ამსგავსებს. ასე გვევლინა, გორაკის თხემის მიღმა აგერ-აგერ თავს ამოჰყოფს ეგზოტიკურ ფრინველის ფრთებით შექმნილი მუშაობის ინდივიდის თავი. სხვები, ექვსიათასამდე ჰექტარით ფართობის გიგანტურ ვაშლოვანის კრატერში არტურ კონან დოილის „დაკარგულ სამყაროს ხედავენ“, ზოგნი კი ამ ეროზირებულ



ლანდშაფტებს მთვარის უსიცოცხლო პეიზაჟებს ამსგავსებენ. (ვიენიდან „ტყე სიკეთისა“ არნოლდ გეგეჰორი) ასეა თუ ისე ვაშლოვანი კავკასიის ერთ-ერთი უღამაზესი და უიშვიათესი დაცული ტერიტორიაა თავისი რელიეფით და ბიომრავალფეროვნებით.

ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი დაარსდა 1946 წელს. მისი ფართობია 8480 ჰა. აქ სარკმლის ხიანი და ღვიანის ბუნებრივი ტყეებია. ამ ძირითადი სახეობების ცენოზური სტრუქტურა ასეთია: სარკმლის ხიანი ბუჩქნარი, ღვიანის სარკმლის ხიანი ნაირბუჩქნარის ქვეტყით,

ემენტები, ბეჭვი, შავჯაგა, ჯაგ-რცხლა. ბალახოვანი მცენარეებიდან ბევრია ეფემერი და ეფემეროიდები (ადრე გაზაფხულზე მოყვავილენი) ბევრია იშვიათი მცენარე ორქიდეები (ჯადვარები), ქართული, ქართლის კავკასიური, ქონდარა ზამბახი, ეიხლერის ტიტა, იები და სხვა. მრავლად მოიპოვებიან და ხშირად ფონს ქმნიან ქსეროფიტული მცენარეები: ყარდანა, ჩარანი, უძრახელა, ავშანი.

ცხოველთა სამყარო დიდ ინტერესს იწვევს. ერთის მხრივ ლეშიჭამია მტაცებელი ფრინველების, მეორეს მხრივ ძუძუმწოვრების გავრცელების გამო. ფრინველებიდან გავრცელებულია სვაკი, ორბი, ფასკუნჯი, ბეკობის არწივი, კაკაჩა, კაკაბი, გნოლი, მწყერი, ზოხობი, სამხრეთის მერცხალი. ძუძუმწოვრებიდან მგელი, მელა, ტურა, რამდენიმე ეგ ზემპლარის სახით აფთარი, მურა დათვი, ფოცხვერი, სავარაუდოდ ჯიქი. სულ ახლო წარსულში მრავლად

სარკმლის ხიანი უროიანი სტეპით, სარკმლის ხიანი ნახევრად უდაბნოს ფონზე, ღვიანის, ფასმინის ქვეტყით, ღვიანის უძრახელას ქვეტყით, ღვიანის ნაირბუჩქნარის ქვეტყით, ღვიანის სტეპის ფონზე.

მცენარეებიდან აღსანიშნავია სარკმლის ხე, შავი ღვია, მრგვალნაყოფა ღვია, აკაკი, ქართული თელა, ქართული ნეკერჩხალი, ცხრატყავა, წვილნაყოფა ბალი, ფასმინი, შინდანწლა, ველური პანტები, ჭალაფშატა, ქაცვი, თურანულა (მთელს კავკასიაში მხოლოდ აქ იზრდება) კოწახური, ბროწეული, აგრეთვე ჯაგ-ეკლიანი ველის ელ-

ბინადრობდნენ ღორის კოლტები და ქურციკის ჯოგები (ქურციკი საქართველოში სრულიად გადაშენდა) წვრილი ძუძუმწოვრებიდან: კავკასიური კბილთორა, ტყისა და სტეპის თაგვები, ჩვეულებრივი მემინდვრია, წითელკუდა მექვიშა, კურდღელი და სხვა.

ქვეწარმავლებიდან მთავარი ადგილი გიურზას უკავია. ვაშლოვანის ეროვნული პარკი 2003 წელს დაარსდა. მისი ფართობი 25114 ჰა-ია. მასში გარდა არიდული ლანდშაფტებისა მოსაზღვრე ალპინის ჭალის ფრაგმენტებიც შედის. მისი ეროვნული პარკი წარმოადგენს ბუნებრივად მრავალფეროვან ლანდშაფტს, სადაც შევიძლიათ ნახოთ, როგორც რელიქტური ტიპის ეკოსისტემები, ასევე შედარებით ახალი არიდული ბიომები.

კახა სუსიტაშვილი



საბედისწერო და საოცნებო ჩანჩქერთან

გიორგი გვიმრაძე სტორის ხეობაში მდებარე სოფელ ფშავლის მკვიდრია. ამ უნიჭიერესმა კაცმა დიდი წარმატებით დაამთავრა აქაური სკოლა. იგი განსაკუთრებული სიბუნებითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. როგორც ნორჩი ნატურალისტი, მონაწილე გახლდათ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისა. ბედკრული სიყმაწვილე ხვდა წილად. მას არანაირი ხელშეწყობა არ ჰქონდა ოჯახიდან და ფშავლის საშუალო სკოლაში ყველა დანატრია მის დიდ წარმატებებს. იგი ოქროს მედლის კანდიდატი იყო, მაგრამ ბევრი უნიჭო შემცილებელი – „მამიკოს“ შეიღებოდა აღმოჩნდნენ, სხვადასხვანაირი გზებით სხვათა პროტექციის გამო, ყველაზე ძლიერი და ამასთან უპატრონო გიორგი გვიმრაძე ამ მიზეზის გამო დაზარადა და მედლის გარეშე დარჩა, თუმცა 125 სკოლა დამთავრებულიდან უმაღლეს სასწავლებელში მხოლოდ გიორგი გვიმრაძე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტზე.

სტუდენტობის პერიოდი დიდი ეკონომიური გაჭირვებით გაიარა: მხოლოდ 28 მანეთი სტიპენდიით, სწავლაში დიდი წარმატებით, როგორც სპორტის მოყვარულმა, თავი გამოიჩინა თავისუფალ ჭიდაობაში, ამისათვის კი მიღებული აქვს სიგელები. სტუდენტობისას თავი რომ ერჩინა, არდადეგების პერიოდში სოფელში მიწას ხნავდა, თესავდა და ასე წვალებით სარჩოს შოულობდა. შრომითი საქმიანობა გიორგი გვიმრაძემ დროებით თანამშრომლად **სპელეოლოგებთან კოლექტორად** დაიწყო. შემდეგ კი **გეოლოგად** მუშაობდა სამინისტროსთან არსებულ **გეოლოგიის სამმართველოში**. მამინდელი დროისათვის დამახასიათებელი გაუგებრობების გამო, პროტესტის ნიშნად დატოვა სამსახური და სოფელში დაუბრუნდა გლეხურ მეურნეობას. ჰყავს მეუღლე, ეკონომისტი **ციალა ჩიკვაძე**. ყოფილა ორი შვილი – კახა და თეა გვიმრაძეები. მათაც წარჩინებით დაამთავრეს ფშავლის საშუალო სკოლა, ხოლო შემდგომ **უკრაინის ქალაქ ივანოფრანკოსკში ნავთობის ინსტიტუტი**.

კახა გვიმრაძე ხარკოვში ნავთობის ტერმინალში მუშაობდა, სადაც დაოჯახდა და **ყოფილი ორი ქალიშვილი**. ამ უნიჭიერესმა ვაჟკაცმა დიდ სამსახურებრივ წარმატებებს მიაღწია. მაგრამ... მცირე ხანში **ავტოავარიის შედეგად დაიღუპა**. აი, ასეთია მოკლე მონათხრობი უიღბლო ვარსკვლავზე დაბადებული **გიორგი გვიმრაძისა**, რომელიც დიდი სულიერი სიმამლისა და კაცურ კაცობის ეტალონია. ასეთი ადამიანები კი ჩვენს ირგვლივ თითოეულ ჩამოსათვლელში არიან. **დღეს გიორგი ჩვენი გაზეითის სტუმარია.**

– სპელეოლოგიური კვლევა მოიცავს ჩქვენი მშობლიური მხარის ბუნების წიაღში მოგზაურობას მიწის ქვეშ, საუკუნეობრივი წყვილითა და იდუმალებით მოცულ კარსტულ მღვიმეებსა და უფსკრულში, რომელიც გვაოცებს ათასწლოვანი „სტალაქტიური ტყეებით“, ანკარა მდინარეებით, ტბებით, ჩანჩქერებით, ჯადოსნური პეიზაჟებით. სწორედ აი, ამ დარგს ეწოდება სპელეოლოგია, ანუ მღვიმეთმცოდნეობა.

– რითი გვიზიდავს მიწისქვეშა სამყარო?
ბუნელი, ცივი, მიუსაფარი, მოულოდნელობებით, ბუნებრივი ღრუბებით – მღვიმეებით და ერთადერთი მოხერხებული თავშესაფარი, პირველყოფილი ადამიანების და ცხოველებისათვის, კარსტულ მღვიმეებში შეფარებული იყვნენ ქვის ხანის ადამიანები.


ყოველივე ეს ხომ მეცნიერთა ინტერესსა და კვლევის სფეროში შედის. დედამიწის ზურგზე მხელად მოიძებნება ისეთი კუთხე, რომელიც საქართველოს მღვიმეებსა და უფსკრულებს სიმდიდრით შეედრებოდეს. ამიტომაც, ჩვენში, მიწისქვეშა სამყაროს კვლევა სულ უფრო იზრდებოდა. ამ მხრივ წარმატებით მუშაობდა **ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიური ლაბორატორია – საქართველოში სპელეოლოგიური გამოკვლევების ცენტრი**.

ზურაბ ტინტილოზოვის წიგნიდან: „მღვი-

მეებსა და უფსკრულებში“ მოთხრობილია აფხაზეთის მღვიმეებსა და უფსკრულებში ღრმად შეღწევის მცდელობები, ასევე სურათები და შედეგები მოცემული. ამ ურთულეს ადგილებში ახალგაზრდა მკვლევარების და მათ შორის, **გიორგი გვიმრაძის მეტად საინტერესო მიღწევები მოცემული.**

ისევე დავუბრუნდეთ ნაშრომს: „მღვიმეებსა და უფსკრულებში“... მღვიმე უფსკრულები ღრმა და დიდი ფართისა, ვითარდება იქ, სადაც კირქული მასივები დიდი სიმძლავრისაა და ზღვის დონიდან რაც შეიძლება მაღლა მდებარეობს. **სპელეოლოგიის ეს განხრა მეტად საინტერესო, რთული და სახიფათო საქმეა.**

თუ ერთხელ მაინც დაინტერესდი და შეხვდი მღვიმე – უფსკრულებს, არ შეიძლება მისმა სილამაზემ არ გაგიტაცოს და სასწაულებმა თვალი არ მოგტაცოს. ასევე შემდეგშიც არ შეგიყვანოს და **სწორედ ამან განაპირობა ჩემი**




გიორგი გვიმრაძე ექსპედიციაში ყოფნის დროს

დიდი დაინტერესება მღვიმეთმცოდნეობისადმი, მითუმეტეს მე კარგად ვვლით ინჟინერ – გეოლოგიის პროფესიას. ამ საქმით მე დაკავები სამი წლის განმავლობაში.

ექსპედიციას ყოველთვის იმედი ჰქონდა გიორგი გვიმრაძისა. „ამ დავალებას ისევე დაუზარელი გიორგი გვიმრაძე ასრულებს, რომელმაც **საუკეთესოდ ათივისა „ცბიერი ტრასა“ „მიწასა“ და „ნწ–ს შორის. ამ დროს ბიოლოგები მატაბერეში და ელიავა ავად იყვნენ. ეს ბიჭები უფსკრული „ნწ“ – დან – „ცბიერი“ ტრასიდან სწორედ გიორგიმ ამოაცილა. იგი წინ უძღოდა უფსკრულის შიდა კედლებზე მტოცავებს.**

მოგვიანებით, უფსკრულის წარმატებით დალაშქრის შემდეგ **არსენ ოქროჯანაშვილის, ჯუმბერ ჯიშკარიანის და სხვა მონაწილეებმა**



მშვიდობიანად დაასრულეს სარეკორდო ჩასვლა ევრეთლოდულ ვახუშტის სახელობის უფსკრულში. თუმცა ასეთმა დიდმა წარმატებებმა მსხვერპლიც მოითხოვეს: 1965 წელს ზაფხულში, ახალი ათონის ანაკოფიის უფსკრულის დოკუმენტური კინოფილმის გადაღების შემდეგ, საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი სპელე-

გიორგი გვიმრაძის წერილი სათაურით: „როგორ დავიყარო მიწისქვეშა ჩანჩქერი“.

საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი სპელეოლოგი – **არსენ ოქროჯანაშვილისათვის საბედისწერო აღმოჩნდა ზემოთაღნიშნული მარშრუტი... წარმატებულები – გიორგი გვიმრაძე და არსენ ოქროჯანაშვილი მღვიმიდან რომ გამოვიდნენ, არსენმა მოინდომა კიდევ ერთი ენისებური გამოქვაბულის ნახვა, რომელიც მათ სიახლოვეს, კლდის ნაპრალებზე ჩამავებული თვალივით ჩანდა. იქნებ ეს ადგილიც გვენახო და იმ მიმართულებით ავიღო გეზი და კლდეზე ახსობა დავიწყეთ... პირველად გიორგის გაუჭირდა ერთ-ერთ ღარტაფზე გადასვლა, სადაც არსენ ოქროჯანაშვილი მიეხმარა. კლდის ნაშალზე დაწინაურებული არსენი მოულოდნელად იძახის: ჩვენ ხომ აქ დავგრძობით...
რა მოხდა არსენ, თუ გვიჭირს, მე კარგად ვმობრძობ და დაგეხმარები, უთხრა გიორგიმ... და ეს სიტყვები დამთავრებული არ ჰქონდა გიორგის, რომ მოესმა არსენის სიტყვა: გაეფრინდი... იგი დაახლოებით 12 მეტრით მაღლა იყო, ტანი ველარ შეიმავრა და გაქანებით მისგან ცოტა მოშორებით ჩამოიშინა, გადაეშვა კლდის თავიდან და მღვიმე, საიდანაც ეს ორი მამაცი სპელეოლოგი გამარჯვებულები გამოვიდნენ, იმ მღვიმის პირთანვე ლოდებზე დაეცა...
გიორგი გვიმრაძემ დიდი წვალებით და ვაი ვავალხით გამოაღწია იმ საბედისწერო ადგილიდან და ფეხშიშველმა, ტანსაცმელ შემომარცვლმა ხელმძღვანელობას აცნობა. **არსენ ოქროჯანაშვილის ცხედარი დიდი წვალების შემდეგ გადმოასვენეს და მშობლიური საინჟინერო მიწას მიაბარეს.****

გიორგი ელიზბარის ძე გვიმრაძე 1962 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულებით მთა არაბიკის (გაგრის რაიონი) კარსტულ მღვიმეში ღრმად ჩაღწევის დარგში დაგალების წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოვდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, რომელსაც ზელს აწერს: უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე ბ. შინკუბა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი შ. ლაკობა.

სამსახურებრივი მოვალეობის დროს ნახულობს ორგანულ ნამარხებს, რომელიც ნალექების დათარიღებას უწყობს ზელს. ასეთი ნამარხების აღმოჩენით, გეოლოგების მიერ დათარიღებული ასაკის შეცვლა ხდებოდა. და აი, ასეთი ნაშრომიც შეიქმნა: **მ. თოფჩიშვილის, გ. კორინთელის და გ. გვიმრაძის თანაავტორობით და გამოქვეყნდა საქართველოს „მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ 1974 წლის ივლისის ნომერში სათაურით: „მდ. ლაროვანის წყლის სათავეების (თუშეთი) ქვედა იურული ნალექების სტრატეგიისათვის“.**

ასეთია ამ უიღბლო, ბედამწვარი მამულიშვილის ცხოვრების ამბავი და, როდენ სამწუხაროა, რომ მეცნიერებაში ასეთი დიდი პოტენციის მქონეს, სამეცნიერო ხარისხი არ აქვს. მას რომ თავიდანვე ხელშეწყობა ჰქონოდა, ჩემი ღრმა რწმენით, რიგითი მევენახე და მე-მინდვრე კი არა, სახელმწიფოებრივი უდიდესი მეცნიერი იქნებოდა ჩვენი სამშობლოს კიდევ უფრო მეტად გამობრწყინებისათვის.

„შუქი ბუნეთში“ კი გიორგი გვიმრაძის ნარკვევია, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ციცისკის“ 1966 წლის აგვისტოში. იგი როგორც გეოლოგი პირველივე ნაბიჯებიდან სამსახურებრივად საინტერესო მასალებს სთავაზობდა მკითხველებს ბუნების წიაღის შესახებ.


„შუქი ბუნეთში“ კი გიორგი გვიმრაძის ნარკვევია, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ციცისკის“ 1966 წლის აგვისტოში. იგი როგორც გეოლოგი პირველივე ნაბიჯებიდან სამსახურებრივად საინტერესო მასალებს სთავაზობდა მკითხველებს ბუნების წიაღის შესახებ.

სამსახურებრივი მოვალეობის დროს ნახულობს ორგანულ ნამარხებს, რომელიც ნალექების დათარიღებას უწყობს ზელს. ასეთი ნამარხების აღმოჩენით, გეოლოგების მიერ დათარიღებული ასაკის შეცვლა ხდებოდა. და აი, ასეთი ნაშრომიც შეიქმნა: **მ. თოფჩიშვილის, გ. კორინთელის და გ. გვიმრაძის თანაავტორობით და გამოქვეყნდა საქართველოს „მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ 1974 წლის ივლისის ნომერში სათაურით: „მდ. ლაროვანის წყლის სათავეების (თუშეთი) ქვედა იურული ნალექების სტრატეგიისათვის“.**

ასეთია ამ უიღბლო, ბედამწვარი მამულიშვილის ცხოვრების ამბავი და, როდენ სამწუხაროა, რომ მეცნიერებაში ასეთი დიდი პოტენციის მქონეს, სამეცნიერო ხარისხი არ აქვს. მას რომ თავიდანვე ხელშეწყობა ჰქონოდა, ჩემი ღრმა რწმენით, რიგითი მევენახე და მე-მინდვრე კი არა, სახელმწიფოებრივი უდიდესი მეცნიერი იქნებოდა ჩვენი სამშობლოს კიდევ უფრო მეტად გამობრწყინებისათვის.

ესაუბრა იზა ჯაჭვამი.

საქაიხოვერო ღვინის აკეანი



ინგლისში, ერთ-ერთ ღვინის ქალაქში მოქმედი მუდმივი გამოფენა იხსენება ქართული ღვინოებითა და კონიაკებით. დამთავრებულია ყურადღებას იქცევს წარწერა: „საქართველო – ღვინის აკეანი“. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პროდუქცია საქვეყნოდ არის აღიარებული. თუმცა, ეს რომ ასეა, დიდი ხანია ამაზე მეტყველებს ათეულობით ოქროსა და ვერცხლის მედლები. საქრთავისი გამოფენებზე **უცხოელთა აღტაცებას იწვევს „ხიხვი“, „ოჯაღეში“, „ტიბაანი“, „წინანდალი“, „ახაშენი“, „თელიანი“, „ქინძარული“, „კარდენახი“, „ხორსა“ და სხვა.**

ის ფაქტიც, რომ თბილისში ორჯერ გაიმართა მევენახეობა – მეღვინეობის მსოფლიო კონგრესი (1962, 2010 წლები).
ბევრს თავისი ქვეყნისა და ღვინის სამშობლოდ მიაჩნია, ჩვენც ვართ უფლებს გვაქვს ეს სიტყვები საქვეყნოდ განვაცხადოთ, ამის საფუძველს გვაძლევს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ექსპონატებიც.
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია შიდა ქართლში (შულავერში) აღმოჩენილი მცირე ზომის ქანდაკებები, სადავინე ჭურჭელზე გამოხატული მამაკაცი, რომელსაც ყურძნის მტევანი უჭირავს. მეცნიერთა აზრით, ეს

უკანასკნელი მსოფლიოში ყველაზე უძველესი ხანის ვახისა და ღვინის ღვთაება უნდა იყოს. საქართველო მართლაც ხომ ღვინის აკენია. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს იმდენი ჯიში, რამდენიც საქართველოში (500-ზე მეტი).

აი, ასეთ ქვეყანაში, დღეს დიდი რაოდენობით შემოაქვთ ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები. სამწუხარო კიდევ ეს არის, რომ სავაჭრო ქსელში ხშირად ვხვდებით ფალსიფიცირებულ სასმელებს, რაც ადამიანის ჯანმრთელობას დიდ ზიანს აყენებს. ვფიქრობ, ამ პრობლემას კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა შეხედონ შესაბამისმა ორგანოებმა და სპეციალისტებმა.

სულსან სხირტლაძე.

გილოცავთ დაბადების დღეს!

მწერალთა კავშირის
თავმჯდომარეს, თვალსაჩინო
პოეტს –
მაცვალა გონაშვილს

ბიოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორს, ეკოლოგიის
აკადემიის აკადემიკოსს –
სულა (გიორგი)
იორდანიშვილს

გაზეთ „კავკასიის“ რედაქტორის
მოადგილეს –
ლიანა გიგიაძეს

თვალსაჩინო პოეტს,
პუბლიცისტს –
კობა არაბულს

ეროვნულ გმირს –
ლუკა რამაზაშვილს

მემამულეთა კავშირის
თავმჯდომარეს –
რაულ ბაბუნაშვილს

გაზეთ „კავკასიის“ რედაქტორს –
ლაშა-გიორგი პრაპეიშვილს



თაკო ლომიძე მეუღლესთან – სვენგ ვოგესთან ერთად

უჩვეულო საღამო,
როგორც მოხილავს გაუჩივარი

თამარ ლომიძის ახალი პოეტური კრებული „ზღვარი“ და მის მიერვე (მეუღლესთან – სვენგ ვოგესთან ერთად) ნორვეგიულიდან თარგმნილი საფაფხულო წიგნი „კარიუსი და ბაქტუსი“, საზოგადოებას საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში წარედგინა.

პოეზიის ეს საღამო, აქ გამართული ყველა დანარჩენი საღამოსგან განსხვავდებოდა იმით, რომ თამართან ერთად მისი ოჯახიც მონაწილეობდა... კიდევ ერთი ძირეული განსხვავება... პოეტების – საღამოს წამყვან ლექსო დორეულის, „ზღვარის“ რედაქტორის ტარიელ სარხელაურის, „კარიუსის და ბაქტუსის“ რედაქტორის მარიამ წიკლაურის გარდა, საღამოს არცერთი გამომსვლელი არ ჰყავდა. ჩემი აზრით, ეს საღამო, ამ მხრივ განსაკუთრებული იყო.

სამწუხაროდ, ბოლო დროს, ჩვენი სამწერლო საზოგადოების ერთი ნაწილი თვითკმაყოფილების სენით დაავადდა. ყოველი ლიტერატურული საღამო ქება-დიდებას, ხოტბის შესხმის და ნებისმიერი მწერლის ღამის კენოსად გამოცხადების ადგილად იქცა. წიგნის წარდგინება კი დამსწრე საზოგადოების მხრიდან, უპირველეს ყოვლისა, ამ წიგნის ღირსება-ნაკლოვანების შეფასება უნდა იყოს და არა გაუთავებელი ქება. ვფიქრობ, წიგნის ავტორსაც, ასევე ღირსეულად უნდა შეეძლოს მისი მისამართით გამოთქმული ობიექტური შენიშვნების მოსმენა.

მადლობა დემეტრეს, რომ თამარ ლომიძის პოეზიის ეს საღამო ერთგვარი სინათლე იყო გვირაბის ბოლოში და თუ მას ღირსეული მიმამკვლელებიც გამოუჩნდებიან, ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება ამით ბევრ სასიკეთოს შეიძენს.

თამარ ლომიძე არამარტო კარგი პოეტი, მშვენიერი მხატვარიც გახლავთ. ამ საღამოს მისი ნახატების სლაიდების ჩვენებაც ახლდა თან. დამსწრენი მოიხილნენ როგორც ლექსებით, ასევე ნახატებით, იმ საოცარი ფერშეხამებით, რაც ასე ახასიათებს თამარის მხატვრობას.


თამარ ლომიძის პოეზიის საღამო, ქართული ხალხური სიმღერებით გააღამაზა მომღერალთა ტრიო „გიორგიმ“, რომელთაგან ორი – სვენგ ვოგე და პეტერ სიმონსენი ნორვეგიელები არიან, ბექა სეხსკვერაძე კი „ლაშარის“ მომღერალია. პოეზიის საღამო გააღამაზეს ბავშვებმა, თამარის და სვენგის შვილმა – ლუკა ვოგე – ლომიძემ, რატი შფათავამ და გუგა სეთი-სიაშვილმა ფანდურებზე და დოლზე დაუკრეს ხალხური მელოდიები. ლუკამ, მერე, მამასთან ერთად იმღერა „იმერული მეზავრული“.

მაყურებელს კიდევ ერთხელ მიეცა საშუალება დამტკბარიყო მსახიობ ელდინო საღარაძის გამორჩეული ხელოვნებით, რომელმაც უფრო მეტი ხიბლი შემატა თამარ ლომიძის პოეზიას.

და ბოლოს, პოეტმა მნიშვნელოვანი რამ განაცხადა: – საქართველოში, გენიალური ქართველი პოეტის – შოთა რუსთაველის მუზეუმი არ არსებობს, თამარმა ყველას მოუწოდა, რომ შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მიიღონ ამ მამულიშვილურ საქმეში და თავად პოეტმა შოთაობისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულად მიღებული 500 ლარი და პოეზიის საღამოდან შემოსული ფული, ანსამბლ „გიორგის“ ალბომებისა და „ზღვარის“ გაყიდვით მიღებული 200 ლარი, მთლიანად მუზეუმის ფონდს გადაურცხა.

მარიამ თამთაშანიძე

ქართული ნიჭის კიდევ ერთი
გამომჩნევა



თითქმის წელიწადის ნახევარ დროს იქ ატარებს. აქვე შემოქმედებითი მივლინებები და ნახატების უმრავლესობაც იქ არის შექმნილი.

რეზო ადამიას გამოფენები ეწყობა პარიზში, მარსელში და სხვა ქალაქებში. წიგნში „მედევრები და მარადიულობა“ საუბარია მსოფლიო მნიშვნელობის გენიალურ მხატვრებზე.

მოსწავლეთა სასახლის დარბაზში საღამოს უძღვებოდა მწერალი იკა ქადაგიძე, რომელმაც ისაუბრა რეზო ადამიას წიგნის ღირსებაზე. შთაბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა ქართული სიტყვის და ნოველის უბადლო ოსტატმა რეზო მიშველაძემ. ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა აღნიშნა: „გაოცებული ვარ რეზო ადამიას პროფესიონალიზმით და ამ არაჩვეულებრივი წიგნით, რომელიც თავად დიდებულმა მწერალმა და მხატვარმა აჩუქა ქართველ ხალხს, მასში ჩანს სხვისი ნიჭის პატივისცემა, რაც ბატონი რეზოს დიდ პიროვნულ თვისებებზე მეტყველებს. სიტყვებით გამოვიდნენ გამოჩენილი ქართველი პოეტები და საზოგადო მოღვაწეები: ბალათერ არაბული, ბადრი ქუთათელაძე, ნოდარ ტაბიძე, ჯუმბერ ლომინაძე, მიმოზა ცანავა და სხვები.“

საღამო გააღამაზეს მომღერლებმა: ვიერ კაკულიამ, ენრიკო ჯანელიძემ და მარინა კოლხიძეშვილმა.

მდელოვარე საღამო, რომელმაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, დაამთავრა მსახიობმა ელდინო საღარაძემ.

ეს დღე გახლდათ ქართული ნიჭისა და სულიერების კიდევ ერთი გამომჩნევა და უდიდესი დღესასწაული.

ეთემ ზარიძე.

ახლახან თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მოეწყო საქართველოს სახალხო მხატვრის რეზო (ედილიანე) ადამიას ესეების წიგნის: „მედევრები და მარადიულობა“ წარდგინება, რომელიც გამოსცა გამოცემლობა „ინტელექტმა“ პროფესორ ნოდარ ტაბიძის რედაქტორობით.

რეზო ადამია გახლავთ არა მხოლოდ ნიჭიერი მხატვარი, არამედ პოეტიც, ამასთან ერთად სხვისი ნიჭის უბადლო დამნახველი, დამფასებელი და უადრესად კეთილშობილი პიროვნება. იგი პარიზის სმირი სტუმარია.

ლაშა-გიორგი კრავიშვილი, იზა, რენო და ზოია ჯაჭვამები დიდი გულისტკივილით იუწყებიან სახელოვანი და უკეთილშობილესი პიროვნების **არჩილ ცუცქერიძის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის დიდი მეგობარსა და ნათლიას, ჟურნალისტ **ლაშარა ჩინჩალაძეს**, მისი შვილებს: **მედეა** და **მალხაზ ცუცქერიძებს**.

მაღე მკითხველი საგაზეთო ჯიხურებსა და სტელაჟებზე იხილავს ჟურნალ „კომპიუტერის თვითმასწავლებლის“ მორიგ ნომერს – „კომპიუტერის პროგრამული მართვა“.

ჟურნალის დამფუძნებლები: კობა ბელიძე და გიორგი ლენიაშვილი აღნიშნავენ, რომ ახალი ნომერი, წინა გამოცემასთან („Word 2003 – 2010“) ერთად, უთუოდ დაინტერესებს მკითხველს.

დაინტერესებული პირები პოპულარულ საოფისე პროგრამა „ვორდის“ გარდა, ჟურნალის მეორე ნომერში დაბეჭდილი გაკვეთილებისა და დისკზე ჩაწერილი ვიდეოგაკვეთილების მეშვეობით, ახლა უკვე შეძლებენ შეისწავლონ არა მხოლოდ უმარტივესი ოპერაციები, არამედ ბიოსის გამართვა, თვით ვინდოუსის ინსტალაცია და ქსელში ჩართვა.

დამფუძნებლებმა დასძინეს, რომ ჟურნალის პირველ ნომერში მოთხოვნილება ისევე დიდია და ამიტომ მას სარეალიზაციოდ ისევე გაიტანენ მეორე ნომერთან ერთად.

კომპიუტერის თვითმასწავლებელი
პროგრამული მართვა
გამომცემი: **ბაკმთილები**
გამომცემის ინტელექტუალური ცენტრი
www.bedoidze.site.ge

კავკასია
დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
იზა ჯაჭვამი
რედაქტორი **ლაშა-გიორგი პრაპეიშვილი**
რედაქტორის მოადგილე **ლიანა გიგიაძე**
სარედაქციო საბჭო: ივანე წიკლაური, კობა ბუჩუკური, რეზო კობიაშვილი, გიორგი იჩუაძე, ნუგზარ ილიძე, მარინე თეთუმანიძე, ნატა ბორჩხაძე, ლეილა არჩვაშვილი, გულო კობიაშვილი, ომარ მარუქაშვილი, გოჩა ხარაჩაული, ჯაბარალ ხანგოშვილი.
ბაზით არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები თავად აკმაყოფილებენ მასალის მისაღებად საჭირო საჭიროებას, ავტორთა მოსაზრებები უმასწავლებს არ მთავრობას რედაქციის კოორდინატორს. ბაზით არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს.
მისამართი: **კოსტავას ქ.№14**
ტელ: **52-16-38**
899-79-76-13
დაკავშირდით კობა ბუდიძის ფონდის მისამართზე
www.bedoidze.site.ge